ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №250865

ნომერი: AR160387

თარიღი : 22.06.2012

გაცემის თარიღი : 06.07.2012

გაცნობის თარიღი : 06.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაისურაძე , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისისმერიისურბანულიდაგეგმარებისსაქალაქოსამსახურის2008 წლის25 იანვრის#62 ქალაქთმშენებლობითპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქ. თბილისის მერიის სიიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 22 ივნისს #AR160387 განცხადებით მომართა მოქ. ალექსანდრე ჯობავამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 25 იანვრის გაცემული #62 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, მაისურაძის ქ. #11–ში

მდებარე მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური (საცხოვრებელი და საზოგადოებრივი) კომპლექსის ასაშენებლად დადგენილი იქნა #63 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 6270 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.20.004.005). განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და საკადასტრო კოდი. მიწის ნაკვეთის ფართობი შედგენს 6203კვ.მ.–ს ხოლო საკადასტრო კოდია 01.19.20.004.019.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. იმ დროისათვის მოქმედი “არქიტექტურული საქმიანობის შესახებ” 1998 წლის 14 აპრილის საქართველოს კანონის თანახმად არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება არის საქართველოს კანონმდებლობით, ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს არქიტექტურული ობიექტის დანიშნულებას, მის პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, მიწის ნაკვეთზე განთავსებას, აგრეთვე მისი დაპროექტებისა და მშენებლობის ეკოლოგიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სხვა პირობებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვიანიდან, შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, ხოლო სხვა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები უცვლელია და ამასთან, მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს 25.01.2008წ. #62 ქალაქთმშენებლობითი პირობებში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, “არქიტექტურული საქმიანობის შესახებ” 1998 წლის 14 აპრილის საქართველოს კანონის და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდესმოქ. ალექსანდრეჯობავას2012 წლის22 ივნისს#AR160387 განცხადება;

2. შევიდიეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 25 იანვრის #62 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართად მიეთითოს 6203 კვ.მ. და საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს – 01.19.20.004.019.
3. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 25 იანვრის #62 ქალაქთმშენებლობით პირობებში შენიშვნის სახით მიეთითოს: ,,ფართის შემცირება თუ გამოიწვევს ობიექტის შეუსაბამობას ქალაქმშენებლობით პირობებთან, აღნიშნული უნდა გასწორდეს პროექტის კორექტირების მეშვეობით’’;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 25 იანვრის #62 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.